# საქართველოს მთავრობის
# განკარგულება

N 2613 2014 წლის 31 დეკემბერი ქ. თბილისი

**სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,სამედიცინო ინოვაციების ცენტრისათვის“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ**

1. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივნის მე-10 კმ-ზე მდებარე 11998.00 კვ.მ მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 01.13.01.010.082) პირდაპირი მიყიდვის ფორმით, 1 000 000 (ერთი მილიონი) ლარად, საკუთრებაში გადაეცეს შპს „სამედიცინო ინოვაციების ცენტრს“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 405062523).

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ქონების საპრივატიზებო პირობებად განისაზღვროს:

ა) საპრივატიზებო თანხის გადახდა შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 (ერთი) წლის ვადაში;

ბ) შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან არა უმეტეს 40 (ორმოცი) თვის ვადაში, ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ქონების ბაზაზე ზოგადი პროფილის არანაკლებ 25 (ოცდახუთი) საწოლზე გათვლილი სამედიცინო მომსახურების ცენტრის შექმნა, აღჭურვა (მათ

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო
შემოსვლის № 593/01
«06» 01 2015
24 ფურცელი

შორის, ინფრასტრუქტურისა და ავტოსადგომის მოწყობა) და ფუნქციონირების დაწყება;

გ) ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით ნაკისრი საპრივატიზებო პირობის შესრულების მიზნით, შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან არა უმეტეს 40 (ორმოცი) თვის ვადაში, არანაკლებ 4 000 000 (ოთხი მილიონი) ლარის ინვესტიციის განხორციელება;

დ) ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამედიცინო ობიექტის ფუნქციონირების დაწყებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში, სამედიცინო პერსონალის დასაქმება, არანაკლებ 50 (ორმოცდაათი) პირის ოდენობით, არანაკლებ 2 (ორი) წლის ვადით.

3. შპს ,,სამედიცინო ინოვაციების ცენტრი“ ვალდებულია, ამ განკარგულების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობების (მათ შორის, შესაბამისი ხელშეკრულებ(ებ)ით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს გადახდის) შესრულების უზრუნველსაყოფად, შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებამდე, წარადგინოს ამ განკარგულების მე-2 პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ინვესტიციის არანაკლებ 10%-ის ოდენობის უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია, რომლის ვადაც ამავე ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების ვადას უნდა აღემატებოდეს არანაკლებ 4 (ოთხი) თვით.

4. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ, ამ განკარგულების შესრულების მიზნით, უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიების განხორციელება.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი